

უჩა ოქროპირიძე

**პარალელური აზრები:**

**ქალბატონ დენიზა სუმბაძის გულწრფელი ძალისხმევა –  
ღია წერილი მის აღმატებულებას, ამერიკის შეერთებული  
შტატების პრეზიდენტს, ბატონ დონალდ ტრამპს,  
„უნივერსალი“, თბილისი, 2018**

გამოქვეყნდა ცნობილი ქართველი მეცნიერისა და მოაზროვნის დენიზა სუმბაძის ნაშრომი: „ჩვენ განვკურნავთ დედამიწას სნეულებათაგან“ – (ქ-ნ დენიზა სუმბაძის ღია წერილი მის აღმატებულებას, აშშ-ს პრეზიდენტს, ბატონ დონალდ ტრამპს). წერილში განხილულია როგორც თანამედროვე მსოფლიოს წინაშე დღეს არსებული პრობლემების მრავალი ასპექტი, ამასთანავე მათი გავლენა და ზემოქმედების შედეგები ახლად ჩამოყალიბებულ პოსტ საბჭოთა სივრცეზე, კერძოდ კი, კავკასიასა და საქართველოზე.

ვეცდებით საზოგადოებას გავაცნოთ აღნიშნული წერილის ნაკითხვის დროს წარმოშობილი პარალელური აზრები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში შეიძლება კიდევ ემთხვეოდეს ავტორისეულ პოზიციას, ან რაღაც დოზით, ავსებდეს მას, ან კიდევ განსხვავებოდეს მისგან და შეიცავდეს მათზე ჩვენს მიერ ჩამოყალიბებულ თვალსაზრისს.

მაგრამ, სანამ ძირითად პრობლემათა ჩვენეულ გააზრებას შემოგთავაზებდეთ, უნდა დავეთანხმო დენიზა სუმბაძის იმ მოსაზრებას, რომ „სრულიად არაეფექტურია დღეს გაეროს საქმიანობა. თავისი სახელწოდების მიუხედავად იგი არ არის დღეს პატარა ერების დამოუკიდებელი და თვითმყოფადი განვითარების მყარი გარანტი“ (გვ. 12), რის გამოც ქალბატონი დენიზა მისგან მოითხოვს „ერის ფენომენი და მნიშვნელობა უფრო მაღლა ყოფილიყო დაყენებული, ვინემ სტატუსი მისი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობისა“ – 1999 წელს კი ედუარდ შევრდნაძის მიერ დაფუძნებულ პოლიტიკური პარტიის „მოქალაქეთა კავშირის“ ალტერნატიულ პოზიციად მან დააფუძნა მოძრაობა „ერის უფლება და ღირსება“ (გვ. 9).

არც იმ საკითხში უნდა იყოს წერილის ავტორი ჭეშმარიტებისაგან ძალიან შორს, „რომ სიონიზმი (როგორც რასიზმი), თავისი

„სამოქალაქო საზოგადოების“ თეორიით, თანაბრად დამანგრეველია, როგორც ამერიკისათვის, ისე საქართველოსთვის და საერთოდ მსოფლიოსთვის. იგი, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია ერების და ეროვნულობის წინააღმდეგ“ (გვ. 13).

ნიგნის რეცენზენტი, პროფესორი პაატა გიორგაძე ლაპარაკობს რა ჰელსინკის დეკლარაციაზე, იქვე აღნიშნავს, რომ „ჰელსინკის დეკლარაციამ“ საბჭოთა კავშირიდან საქართველოს გამოყოფისთანავე დაასრულა თავისი ფუნქცია და ძალაში შევიდა ახალი დეკლარაცია, რომელმაც დააკანონა მსოფლიოს ახალი წესრიგი, თავისი მომაკვდინებელი იდეოლოგიით ერების თვითლიკვიდაციისა და უეროვნებო მსოფლიოს შექმნის მისწრაფებით“ (გვ. 15), ხოლო ისტორიკოს-ეთნოგრაფი ლეილა მირიანაშვილი, აგრძელებს რა ამ აზრს, ამბობს: „...ყოველივე ეს მათ მიერ მონათლულია „მოქალაქეთა უფლებების დაცვის“ ყალბი ლოზუნგებით...“ (გვ. 17).

ძალზე საინტერესოა წერილში მოხმობილი აინშტაინისეული, „წონასწორობა დაკარგული ადამიანის განცხადების“ ავტორისეული შეფასება, – რომ მისმა ავტორმა კაცობრიობას დაუტოვა „ჯერ კიდევ შეუფასებელი, ახალი დიდი თეორია: „კაცობრიობის სიცოცხლის მიმართ გულგრილობა, როგორც დღევანდელი მსოფლიოს ახალი წესრიგის შინაგანი რაობის წარმომსახველი ფსიქოლოგიურ-მორალური რეალობა და მისგან გამომდინარე ავადმყოფური იდეოლოგია და პოლიტიკა, ალბერტ აინშტაინისეული ანალიტიკის შუქზე...“ (გვ. 22).

ქ-ნი დენიზა სუმბაძე აქვე აღნიშნავს, რომ „ამერიკელმა პროფესორმა რიჩარდ პაიპსმა, ასეთი გულწრფელი და მნიშვნელოვანი აზრი გამოთქვა: „საქართველო ჩაება ისეთ ურთულეს პოლიტიკურ პროცესებში, საიდანაც შესაძლოა, იგი ყოველთვის ვერ გამოვიდესო გამარჯვებული...“ (იქვე), რაშიც, ჩვენი აზრით, უპირველეს ყოვლისა, მსოფლიოს პოლიტიკის „წარმმართველ ძალთა“ მიმართ საქართველოში „ზედმეტად“ კულტივირებული მამხილებელი პათოსი და მათთან არაადექვატური „მეტოქეობა“ უნდა იგულისხმებოდეს. მაგრამ ჩვენ აქ პირდაპირ უნდა განვაცხადოთ, რომ ღრმად პატივცემულმა ამერიკელმა პროფესორმა საიდან უნდა იცოდეს, რომ სწორედ ეს არის საქართველოს მისია – ამხილოს ღვთიურ სამართალზე პრეტენზიის მქონე მოძალადენი, რომელთაგან ზოგიერთს ჩვენს ფიზიკურ გადარჩენაზე ჰქონდა და აქვს პრეტენზიები, სხვებს კი, ჩვენს „სულიერ ხსნაზე“, სინამდვილეში კი ორივე ყალბი სუროგატით ცდილობს ქართული სინამდვილის გამოკვებას

და ამით, ღვთის წინაშე თავს იშიშვლებს, კაცობრიობა კი მოგებული რჩება ჭეშმარიტების ნამდვილი სურათის ასე ამკარა ხილვით. ეს კი სტიმულს აძლევს ღვთაებრივი გზით მსოფლიოს განვითარებას და არასდროს არ შეიძლება ასოცირებული იქნას დამარცხებასთან. ამიტომ კვლავ აგრძელებს ქართველი ერი ამ გზას და მასზე რეალურად გამარჯვებული ათასწლეულების მანძილზე არც ჩანს და ვერც გამოჩნდება.

ამერიკისა და საქართველოს პარტნიორული ურთიერთობის საილუსტრაციოდ, წერილიდან მოვიყვანთ რამდენიმე ავტორისეულ პასაჟს. ეს ურთიერთობაო, ამბობს ქ-ნი დენიზა სუმბაძე, „უფრო ბიბლიაში აღწერილი ერთი უბრალო პერსონაჟის – ნაბოთეს მიპატიჟებას მიჰგავს მეფე აქაბას სამეფო ნადიმზე. მიპატიჟებას მართო იმიტომ, რომ მეფე აქაბს ნაბოთეს ვენახი მოსწონს... ჩვენ ქართველი ხალხი, – განაგრძობს ავტორი, – ვართ მგზავრები, ჩამსხდარნი სახელმწიფოს მანქანაში, რომლის მძღოლსაც არ აინტერესებს, სად, ან რა მიმართულებით სურთ მის მგზავრებს წასვლა და რა მიმართულებით სურთ მის მგზავრებს, რომ მანქანა მიდიოდეს... ამ მანქანას საკუთარი მიმართულება აქვს, რომელიც ჩვენ არ გვეკითხება...“; შემდეგ საუბრობს რა საქართველოს ოკუპაციის ფორმებზე, ამბობს: „...პირველი ფორმა ოკუპაციისა გაცხადებული, ისტორიულად ცნობილი ფორმაა... მეორე ფორმა – ანტიქრისტეს სტრატეგიას ფლობს. ანტიქრისტე მოდის შენიღბული და შენიღბული მხოლოდ ქრისტეს... თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სახელით შენიღბული; ამჟამად ჩვენი სახელმწიფოს დამპყრობელია ამერიკის შეერთებული შტატები... მაგრამ ფაქტები, როგორც ერთი დიდ მეცნიერი ბრძანებს, ზოგჯერ ამახინჯებენ ჭეშმარიტებას“ (გვ. 23). და ჩვენს სამომავლო პერსპექტივად დანახული ასეთი რეალობა, სადაც ყველაფერი ისევ სიყალბესა და ტყუილზე აღმორჩა დაფუძნებული, ჩვენში საბოლოოდ კლავს ამ ძალებზე დამყარებულ ილუზორულ იმედებს და ერში აღვიძებს მისი ჭეშმარიტი გადარჩენისათვის აუცილებელ სასიცოცხლო ძალებს, რაც ამ სიყალბეთა და ცრუ მესიანიზმის შემოქმედთა მისია აღმორჩა, რომელიც მათი არსებობის გამართლებას წარმოადგენს. ქრისტეს საბოლოო სახის სრულყოფისთვისაც კი, იუდა ისკარიოტელი დარჩა საჭირო. და ეს თანამედროვე იუდეებიც ასრულებენ თავიანთ მისიას, რასაც მეორედ მოსვლა და ლაზარეს აღდგინება უნდა მოჰყვეს. მათი, ამ ყალბი მესიანიზმის მხილება კი, სიკეთისათვის ბრძოლის ენერგიას გააძლიერებს და ყველას თავის კუთვნილ ადგილსაც მიუჩენს!.. ხოლო რაც შეეხება ერის

სიძლიერის განმსაზღვრელ პატრიარქისეულ ტავტოლოგიას, იგი სრულიად ზედმეტია, რადგან **ერის სულიერი ძლიერება, ყველა დანარჩენის განმსაზღვრელი და სანინდარია...** ეს ჩვენზე უკეთ მან იცის!

როდესაც მართლმადიდებლური ეკლესიის ერთ-ერთი უმაღლესი იერარქი, მსოფლიო პატრიარქი ბართლომე, თავად პოლიტიკანობს და აცხადებს: „მართლმადიდებლობას არ აქვსო გარკვეული, რომელ პოლიტიკურ-ეკონომიკურ წყობას დაუჭიროს მხარი...“, იქ რალა უნდა გაგვიკვირდეს?! **ნუთუ მსოფლიო პატრიარქისათვის ცხადი არ უნდა იყოს, რომ მხოლოდ ღვთაებრივ წესრიგსა და ქრისტიანულ მართლმადიდებლობას უნდა ემსახურებოდეს და მისი საქმე არ არის ამ ქვეყნიური მატერიალური სამყაროს პოლიტიკურ-ეკონომიკური პრობლემები?! ჩვენ ამას ვამბობთ იმიტომ რომ, თუ მართლმადიდებელ ეკლესიის უმაღლეს იერარქებში არ იქნება ამის შეგნება, ვინ შესძლებს მის აღზრდას უბრალო მრევლში, – ვინ დარაზმავს მათ ჭეშმარიტი ქრისტიანული მისიის შესასრულებლად და შეამზადებს მეორედ მოსვლისათვის, თუ თავად ეკლესია იქნება ყველანაირი სიბინძურით სავსე, ავციას თავლასავით?!**

„უნდა შევნიშნოთ, რომ საბჭოთა კავშირი თავისი ეკონომიკური სისტემით, ანუ თავისი სოციალიზმით უფრო ახლო იყო ქრისტიანობასთან, ვინემ ამერიკის შეერთებული შტატები თავისი კაპიტალიზმით. და რუსეთის იმპერიას სჭირდებოდა მხოლოდ შეცვლა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მიერ თავსმოხვეული ათეისტური იდეოლოგიისა, რაშიც, ჩვენი აზრით, მსოფლიოს სიონისტური მოძრაობისთვის, ყველაზე მეტად იყო ჩაბუდებული საშიშროება საბჭოთა კავშირის თვითგანვითარებისა...“ (გვ. 26) – **წერს ავტორი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მთლად ასე ადვილად არ იყო საქმე და აღნიშნული მოსაზრება მნიშვნელოვანი ცდომილებაა, რადგან საბჭოთა სოციალისტური სისტემა წარმოადგენდა სოციალიზმის იმ სუროგატს, რომელსაც გააჩნდა საკუთარი ხალხის ძარცვა-რბევის უნიკალური მექანიზმები, ყველაფერ ამის სიკეთედ გასაღების დემაგოგიური პროპაგანდით. აქ ადამიანი, როგორც პიროვნება, გასრესილი იყო და მათი ერთობა წარმოადგენდა საძოვარ-საშოვარზე (ვინ როგორ – უ. ო.) მიშვებულ ჯოგს, რომელსაც შეეძლო, მისთვის დასაშვებ ფარგლებში, სადაც უნდოდა და რამდენიც უნდოდა იმდენი ეძარცვა, ოღონდაც საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ ხმა არ ამოეღო და სიმართლე არ ეთქვა. მწყობრად ჩამოყალიბებული კორუფციული სისტემის გამო, ამ ე. წ. საზოგადოებაში, აღარ იყო**

შემორჩენილი ვინმე, რომელსაც შეიძლება თავი უდანაშაულოდ ეგრძნო. თუ კი მაინც გაბედავდა და ამ საყოველთაო დანაშაულებრივი სინდიკატის წინააღმდეგ ვინმე ხმას ამოიღებდა, მას იმ წუთშივე ყულფი ყელზე ჰქონდა ჩამოცმული და ერთი ლუკმაც ზედმეტი რომ ჰქონოდა გადაყლაპული, კისრიდან გულ-ღვიძლთან ერთად ამოაცლიდნენ, თანაც იმ დანაშაულის, რომელსაც თითქმის ყველა ჩადიოდა, საყოველთაო „მზილები-სა“ და მისი პიროვნების სასტიკი განქიქების ფონზე. ეს იყო თვალშეუდგამი ფარისევლობის საზოგადოებრივი ცხოვრების ავანსცენაზე ყოველგვარი ზნეობის გარეშე დამკვიდრება, როცა იმ დანაშაულისათვის, რომელსაც თითქმის ყველა სჩადიოდა, სახალხოდ ათრევდნენ და უკანასკნელი სისასტიკით მიწასთან გაასწორებდნენ საერთო „წესრიგიდან“ ამოვარდნილ მემამბოხეს. სწორედ ეს იყო საბჭოთა ნომენკლატურული სისტემისა და მასთან შეჯვარებული „წითელი ინტელიგენციის“ უმთავრესი მოვალეობა, – არ დაეშვათ საზოგადოებრივ ასპარეზზე პიროვნების გაჭაჭანება და ამიტომაც ჰქვია, წითელ ნომენკლატურასთან სამუდამო ქორწინებით დაკავშირებულ, ხელოვნურად ავტორიტეტ შექმნილ, ამ კლანს „წითელი ინტელიგენცია“... და იგი, მის მიერ ნათამაშევი როლით ჩვენი ქვეყნისათვის არა ნაკლებ საშიშროებას წარმოადგენს, ვიდრე „ჯორჯ სოროსის სიონისტური „სამოქალაქო საზოგადოების“ ვერაგული თეორია...“ (გვ. 27).

ავტორი აქვე არაორაზროვნად ამბობს, რომ „...მეორე მსოფლიო ომის შედეგად ებრაელმა ერმა დაიბრუნა ჯერ თავისი ორი ათასი წლის განმავლობაში დაკარგული სახელმწიფოებრიობა, ხოლო შემდგომ, ამ ორი ათასი წლის განმავლობაში დაკარგულ და აღდგენილ სახელმწიფოებრიობაში დაიბრუნა თავისი „ტიტულოვანი“, ძველი აღქმისეული „რჩეულობის“ სტატუსი...“ (იქვე). ანუ, განვლილმა ორი ათას წლოვანმა ტანჯვამ, მას ვერაფერი ასწავლა და ისევ აგრძელებს ღმერთის მითვისების ცდას. იმ ღმერთის მითვისების ცდას, რომლის მიწაზე კაცობრიობის ხსნისთვის მოვლენილი ძის ცნობა მან არ ისურვა (ვერ შეძლო) და ქრისტეს, თავისი ცხოვრების შინაარსის ორეული, ბარაბა არჩია... და თანამედროვე პირობებშიც აგრძელებს ბარაბას გზას – სხვათა ძარცვა-რბევას, მათი არსებობის უფლების აღიარების გარეშე. იმ ტერიტორიათა ისევე ძველი ავტოქტონი მოსახლეობის, როგორც თავად არიან, უფლებათა აღიარების გარეშე, რომელზედაც ცეცხლითა და მახვილით ახლახან მეორედ დაემკვიდრა, სწორედ თანამედროვე მსოფლიოს „წარმმართველი ძალების“ განსაკუთრებული ძალისხმევის შედეგად.

საინტერესოა ავტორის მოსაზრებანი იმის შესახებაც, რომ „...მასონურ-სიონისტური მოძრაობის თეორიული და პრაქტიკული სტრატეგიების წყალობით დამკვიდრებული რეალობა, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის განდევნის შემდეგ, ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან ერთად შემოიჭრა და დაინერგა საქართველოს სახელმწიფოებრივ მმართველობაში და აღმოჩნდა, რომ ჩვენი ხალხის მონოლითური ეროვნული მოძრაობის შედეგად, საქართველოში მივიღეთ არა ჩვენი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, არა ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის განვითარება და ახალ ხარისხში აყვანა, არამედ ჩვენი ეროვნული არსებობის და ვინაობის ნგრევა ყველა მიმართულებით... სახელმწიფო მართვის ჩვენი მონოლითური ეროვნული მოძრაობით მოპოვებული „დამოუკიდებელი და თავისუფალი“, ამასთან სრულიად დაუცველი სახელმწიფო მანქანა ხელთ იგდო მსოფლიოში ცნობილი მასონურ-სიონისტური ბილდბერგის კლუბის წარმომადგენელმა... სიონისტური ლოჟის – „მაგისტერიუმის“ ერთ-ერთ პატრიარქად ცნობილმა ედუარდ შევარდნაძემ... საქართველოს პირველი პრეზიდენტისა და მისი სახელისუფლებო გუნდის გაძევებისა და ედუარდ შევარდნაძის შემოყვანის გზით, მსოფლიოს მასონურმა ძალებმა განახორციელეს საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის, ანუ ქართველი ერის ინტერესების გაძევება საქართველოდან... რითაც მათ ფაქტობრივად შეძლეს დღის წესრიგიდან საერთოდ მოეხსნათ საქართველოს დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადობის სახელმწიფო ორიენტაცია“ (გვ. 28), – სამართლიანად შენიშნავს ავტორი.

შეიძლება ითქვას, რომ ედუარდ შევარდნაძე იყო თანამედროვე საქართველოს ცრუ მესია (ბაკ ბორხა), რომელსაც მსოფლიო მასონიზმის სამსხვერპლოზე უნდა შეენირა ჩვენი სამშობლო; შევარდნაძეს ამ მისიის შესასრულებლად აუცილებლად სჭირდებოდა ზვიად გამსახურდიას ფიზიკური განადგურება, რადგან იგი წარმოადგენდა ცოცხალ მაგალითს ჭეშმარიტი თავისუფლების იდეალისა საქართველოში. ამიტომაც ზვიად გამსახურდია ე. შევარდნაძისათვის უდიდეს საშიშროებას წარმოადგენდა, არა მარტო როგორც პოლიტიკური მონინააღმდეგე, არამედ, უპირველეს ყოვლისა, როგორც მისი მზაკვრული როლის თვალხილული მხილება, რომლის გამოჩენისთანავე მას აღმური ასდიოდა საკუთარი მოღალატური ფუნქციის გაცნობიერების გამო...

იმავე თვალსაზრისით მეტად საინტერესოდ გამოიყურება ავტორის მოსაზრებანი, რომ „...სათუთად ნაოცნებარი ერის გულამოხეთქილი მოძრაობით მოპოვებული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დასასამარებლად... ქართველმა ხალხმა არ იცის რა მოხდა მის თავს, როგორ და რა უბედურება დაატყდა საქართველოს, ეროვნული მოძრაობის ე. წ. „გამოუცდელ“ ლიდერთა მოშორებით და მსოფლიო ახალი წესრიგის ერთ-ერთი არქიტექტორის „გამოცდილ“ პოლიტიკოსის, ედუარდ შევარდნაძის მხარდაჭერით!“ და იქვე სვამს მეტად საყურადღებო შინაარსის შემცველ კითხვას – „შესწევს დღეს სახელმწიფოებრივი მორალური ძალა და ენერჯია ამერიკის შეერთებულ შტატებს, როგორც ჩვენს ოფიციალურ პოლიტიკურ პარტნიორს და მეგობარ ზესახელმწიფოს, მხარში დაგვიდგეს ამ მსოფლიო მასშტაბის სამარცხვინო ავანტიურიზმის მხილებაში?!“ (გვ. 29).

ძალზე საინტერესოა ავტორისეული მოსაზრებანი ედუარდ შევარდნაძის პიროვნების, როგორც ანტი თევდორეს წარმოჩენისა. ჩვენი აზრით, ქ-ნი დენიზა სუმბაძე სრულიად სამართლიანად შენიშნავს, რომ „ედუარდ შევარდნაძემ, როგორც ქართველი ისტორიული წმინდანის – თევდორე მღვდლის ალტერნატიულმა პიროვნებამ, ანუ ანტი თევდორემ, მტრის შემოსეულ ლაშქარს, მასონურ-სიონისტურ მოძრაობას, გაულო საქართველოს სახელმწიფოს ყველა ლაბირინთის კარი, დანყებული საქართველოს კანონმდებლობით და დამთავრებული ქართველთა სინმინდის, ბაზალეთის ტბის ძირით, სადაც ქართველთა მითოსური აზროვნებით, ერის ლეგენდარული, – გონითი ხედვით, სამოთხის ნაკრძალია წარმოსახული...“ (გვ. 29-30).

ავტორი არც იმაშია ჭეშმარიტებისაგან ძალიან შორს, რომ „საქართველოს დამოუკიდებელი მმართველობითი მანქანის საჭესთან, ამასთან კანონმდებლობითი მმართველობის, აღმორჩნდა უცხოეთის პოლიტიკური დესანტების ხელში, რომელთაც საქართველოს სახელმწიფოებრივი კანონმდებლობა წარმართეს საკუთარი ინტერესებით...“ (გვ. 30). აქვე ავტორს მოჰყავს „ვარდების რევოლუციის ედუარდ შევარდნაძისეული განმარტება, სადაც ის ამბობს: „ვარდების რევოლუცია“ იყო არა თუ სპექტაკლი, არამედ უცხოური დაზვერვის მიერ ორგანიზებული ძალიან დიდ დანაშაული“ ... „ვარდების რევოლუციით მოყვანილი ხელისუფლების დროს, ... საქართველოს პარლამენტი იღებდაო ქართველი ერის ბედის საწინააღმდეგო იმდენ გადაწყვეტილებას, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდაო“ (გვ. 30)

აქ ნათლად ჩანს, ედუარდ შევარდნაძე როგორ ვერ პატიობს მის უბეში გაზრდილ უძლებ შვილებს, რომ საერთაშორისო დავა-

ლების შემსრულებელი „მავრი“ გამოყენებული საცობივით მოისროლეს. აქ კარგად ჩანს შევარდნაძისათვის დამახასიათებელი უძირო ბოლმა და შურისმაძიებელი ხასიათი, – **ოლონდაც მისი შურისგება აღსრულდეს და საქართველოში თუნდაც ქვა-ქვაზე ნუ დარჩენილა. თავის გაშვებულ „მართვესაც“ არ ინდობს და მათ ისე „ამხელს“ უცხო სახელმწიფოთა დაზვერვასთან თანამშრომლობაში, თითქოს მთელი თავისი ცხოვრება საკუთარი ქვეყნის მტრების სამსახურში არ გაეტარებინოს, სწორედ, მასონ-სიონისტთა და საბჭოური ნომენკლატურის აქტივობა სურვილის მიხედვით საქართველოს დაქცევა-განადგურების მიზნით;** უნდა ითქვას, რომ მისი საქართველოში დასაფლავება ჩვენს ქვეყანას, საბოლოოდ მასონების ხელდებულად ხდის, რადგანაც სადაც მასონთა „მაგისტერიუმის“ ლიდერია დასაფლავებული, ის ქვეყანა მასონთა უეჭვო „სამშობლოდ“ მოიაზრება.

მეტად საყურადღებოა წერილში მოტანილი 2013 წლის საერთო ანალიზის შედეგად გაეროს მიერ გამოტანილი დასკვნა, რომ **„საქართველოს მოსახლეობის 70 % მონყვლადია, ანუ მოსახლეობის 70 %-ზე მეტის სიცოცხლე ბენეზე ჰკიდია“.** მასზე მოყოლებულია ამ საქმეში საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული სახელმწიფო პოლიტიკის შეფასება, იქვე კი მოცემულია შემდეგი დასკვნა: **„საქართველოში დღესაც ოფიციალურად აღიარებულია, რომ მიუღწეველია მოსახლეობის უზრუნველყოფა საარსებო მინიმუმით, ანუ სიცოცხლის ელემენტარული უფლება“** (გვ. 31).

წერილში მხილებულია საქართველოს ამერიკული ექსპერიმენტების ჩასატარებელ პოლიგონად გადაქცევა, მისი ბუნებრივი რესურსების და განსაკუთრებით, მისი ოქროს საბადოების უმონყალო ძარცვა, **უნიკალური ისტორიული მნიშვნელობის საყდრისის მრავალათასწლოვანი ოქროს საბადოს აფეთქების** თუ სხვათა, ვანდალური ხასიათი.

ავტორს აქვე მოტანილი აქვს ნაწყვეტი ოლივერ უორდროპის წერილიდან, სადაც ის აღნიშნავს: **„მთავარი სიმდიდრე საქართველოში ეს ქართველი ხალხიაო. ეს გახლავთ ხალხი, რომელთა შორის ცხოვრებით შესაძლოა ადამიანი განიკურნოსო კაცთმოდულებისაგან“**, – და იქვე დასძენს – **„ამ დიდებულ ხალხს, ჯერ კიდევ არა აქვსო დანერგილი თავისი ისტორია, ისე, როგორც ჩვენ (ევროპელებს) გვესმისო“.** ქ-ნი დენიზა სუმბაძე იქვე სამართლიანად შენიშნავს, რომ **„ქართველი ერის ნამდვილი ისტორია დღესაც არ არის დანერგილი“** (გვ. 36).

მართლაც, შეიძლება ითქვას, რომ **საქართველოს ნამდვილი, თანამედროვე ისტორიის დანერა, როგორც ზოგიერთებს დღეს**



ეს ესმით, სამწუხაროდ, კვლავ მომავლის საქმედ რჩება (ბევრი მიზეზის გამო – უ. ო.). მაგრამ ჩვენ სერიოზული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ქართველი ხალხის ისტორია ღვთაებრივი ხელით იწერებოდა და იგი სრულად არის გადმოცემული ქართველი ერის ზნეობრივი და სულიერი სიმაღლით აღბეჭდილ მის თქმულება-გადმოცემებში, საღვთო ჰიმნებსა და საგალობლებში, თუ საკრალურ ლოცვებსა და როკვა-ფერხულებში, განსაკუთრებით კი, ქართულ ასომთავრულ დამწერლობაში, რომელშიც, ჩვენს კვლევებზე დამყარებული თვალსაზრისით, ქართულ ანბანურ წყობაში მსოფლიოს საიდუმლო, საკრალურ-ღვთაებრივი ყოფის ისტორიაა გადმოცემული. ეს იოანე ზოსიმესთან ენობრივ სამოსელშია გაცხადებული „ქება და დიდება ქართულისა ენისა“ სახით.

ავტორი აღნიშნავს, რომ ქართული „თვითმყოფადობის გაფრთხილებას საკაცობრიო ძალისხმევა ესაჭიროება. მსოფლიო ახალი წესრიგის დამყარებელი მორალისტების სახით კი, ჩვენს ხედვაში საქართველოს შემოესევიან არა ადრეული საუკუნეების მონღოლები, ან არაბები ... თურქები, რომელთა უღელსაც ჩვენ საუკუნეთა განმავლობაში ვიხდიდით, არამედ გაურკვეველი ჯიშის ზნეობრივი ბარბაროსები და ჩვენი ღვთით ბოძებული ქვეყნის მძარცველები...“

„ეს წიგნი („ვეფხისტყაოსანი“), – ნათქვამია წერილში – ქრისტიანული ეპოქის ზნეობრივ-სიბრძნის მეტყველებითი გამოცხადება და კაცობრიული ამონამღერია ქართულ ენაზე, საგალობელია ზნეობრივი კაცობრიობისა. ეს გახლავთ დოქტრინა კაცობრიობისა და მოყვასის სიყვარულისა“, – ამბობს ავტორი; შემდეგ კი მიმართავს რა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს, აცხადებს: „თქვენ ახალი სახელმწიფოებრივი ხედვით, ახალი მსოფლმხედველობით, კაცობრიობის სიძულვილის პოლიტიკას დაუპირისპირდით და ცვლით (მას – უ. ო.) კაცობრიობის სიყვარულის პოლიტიკით... ჩვენ, ქართველ ხალხს, მოყვასისა და მთელი კაცობრიობის მოყვარულ ხალხს, რომლის ზნეობრივი პრინციპები და ეროვნული სინდისი ერთიანდება ქრისტეს მოყვრებაში, ხიდად თქვენი ახალი მსოფლმხედველობის ამერიკასთან, გვჭირდება არა მასონურ-სიონისტური კავშირი, არამედ ახალი, შესაფერისი და შესაბამისი კავშირი და მაკავშირებელი. ჩვენ თქვენთან, ანუ ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად უნდა განვთავისუფლდეთ მსოფლიოს ე. წ. ახალი წესრიგის ავანტიურისტული აზროვნებისაგან“ (გვ. 37).

დავინწყით „ვეფხისტყაოსნით“ – ეს წიგნი, ისე როგორც იბერიულ-კავკასიური სამყაროს, მისი წარმართული და ქრის-

ტიანული ეპოქის დედამიწაზე შემორჩენილი ღვთაებრივი ნიშანთა მატერიალური სახე (ელია წინასწარმეტყველის ხალენი და ქრისტეს კვართი) და მათი, ადამიანის მიერ ხელთქმნილ ერთ სივრცეში, სვეტიცხოველში, იგივე სიცოცხლის ხეში გამაერთიანებელი საკრალური საწყისი, – წარმოდგენს კაცობრიობის განვითარების მნიშვნელოვანი ფაზის, ამჯერად უკვე წარმართული, ქრისტიანული თუ მუსლიმანური მსოფლმხედველობის სულიერი ურთიერთკავშირისა და საკრალური დამოკიდებულების, ადამიანის მიერ შექმნილ მატერიალურ გამოხატულებას, რომელშიც გაერთიანებულია ის ყველაფერი საუკეთესო, რაც შეიძლება ადამიანთა მოდგმას ახასიათებდეს, – ანუ მისი ყველა ღვთაებრივი გამოვლინებანი. ამიტომაც სრული უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ ავტორის მიერ თანამედროვე ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მის პრეზიდენტზე დაკისრებული უდიდესი მსოფლიო ისტორიული მისიის გააზრება, ათასწლეულების წინ მოხდა კავკასიურ-იბერიულ სივრცეში და მას ახალს ველა-რაფერს შესძენს იმ სამყაროს წარმომადგენელი, რომლისთვისაც „ომებიც, რევოლუციებიც და ადამიანის განადგურებაც, ეს ბიზნესია და სიკვდილიც ფული ღირს!“ (გვ. 38).

ჩვენ გვესმის, რომ იბერიულ-კავკასიური მისიის შესასრულებლად წერილის ავტორი ძლიერ მოკავშირეს ეძებს და ასეთად ამერიკის შეერთებული შტატები წარმოუდგენია. მაგრამ, ამ შემთხვევაში, მატერიალური კეთილდღეობა და თუნდაც „დასავლეთის“ სამხედრო-სტრატეგიული უპირატესობანი არაფერს ნიშნავს და უპირველეს ყოვლისა, უპირატესობა უნდა მიეცეს სულიერ აღმატებულებას. ამაში კი ამერიკის შეერთებული შტატები კოჭებამდეც კი ვერ მიწვდება დედამიწის ჭეშმარიტი სიცოცხლით მასაზრდოებელ ცენტრებს, რომელთაგან ერთ-ერთი უძლიერესი კავკასიაში, კერძოდ კი საქართველოშია საგულგებელი (მაგ.: ურთა – იგივე იესო, მიწაზე მოვლენილი, კაცი, ურთას ჰემატრია რიგითობის ჯამით არის 51, იესოს კოდი, ხოლო რიცხვითი მნიშვნელობების ჯამით 51.1 – იესო, არსთა საწყისი; ნუნისი, რიგითობის ჯამით – 9.0 - სრული ღმერთის სულიერი სავანე, რიცხვითი მნიშვნელობების ჯამით კი – 7.20 ზენა(არსის) სიტყვა, ძე; მცხეთა – 91 – სრული ღმერთი, არსთა საწყისი, რიცხვითი მნიშვნელობების ჯამით 9.0.5.5 – სრული ღმერთის სულიერი სავანე (სამოთხე), წმ. ენის მეორედ მოსვლა, ლაზარეს აღდგინება; აქ განხორციელებული სამების სრული არსი კი ასე წარმოგვიდგება – იესო – სრული ღმერთი – ქრისტე!) – ჩვენ ისლა დაგვრჩენია დავადასტუროთ – ჩვენთან არს ღმერთი!

ამიტომ უიმედობა და სასონარკვეთა ნურავის შეგვიპყრობს, რადგან ბოროტების ზეიმი დროებითი და მოჩვენებითია, და ქართველებმა ისიც კარგად ვიცით, რომ რადგან ღმერთი ჩვენთანაა, სულერთია ვინ იქნება ჩვენს წინააღმდეგ!!!

აი, ეს შეგნებაა მასონების სამიზნე და საქართველოსთან მათი მარადიული მტრობის მთავარი მიზეზიც!

ამიტომაც, სულიერების თვალსაზრისით აღმატებულ კოლხიბერიულ მოდემას არ უნდა ჰქონდეს არავითარი ილუზია, რომ იმ ერთობისაგან – (სიონისტური მოძრაობა), რომლის შინაარსი განიმარტა როგორც „რასიზმი“, და რომელიც „უფრო უარესი ფორმაა კაცთმოძულეობისა, რომლის სახელწოდებაც კაცობრიობას არა აქვს! ეს ადამიანობისა და კაცობრიობის შეურაცხყოფაა!“ და რომლისთვისაც „დიდი ფული ჰქმნის ისტორიას“ (გვ. 40-41), – რომელიმე საკაცობრიო იდეალი ოდესმე განხორციელდება, ან მას, ამ წრიდან, ვინმე ხელს შეაშველებს... მათ ხომ ამ ორი ათას წლოვანი ტანჯვა-წამების მიუხედავად, ქრისტეს მისიაც ვერ გაიგეს და აგრძელებენ თვითლიკვიდაციას! მათ გასაგონად კი დღესაც ხმამაღლა ვიტყვით: დიდი ფული (და მისკენ დაუოკებელი მისწრაფება – უ. ო.) ისტორიას კი არ ქმნის, არამედ უდიდეს ცდუნებას, ჯოჯოხეთის გზაზე დასადგომად, რაც, ბოლოს და ბოლოს, მხილებული იქნება, როგორც საისტორიო ფარსი!... ხოლო ყველაფერ ამას, ახლავე თუ დავარქმევთ სახელს, ამით მხოლოდ ჩვენს ღვთაებრივ ვალს მოვიხდით! და მოდი თამამად განვაცხადოთ მისი სახელი: მას ჰქვია „სიონიზმი“ – მასონურ ლოჟებში, ამ მის ინსტრუმენტებში, განფენილი!...

და მართლაც, ჩვენი ღრმა რწმენითაც, „სიდიადეს ისტორიისას... მხოლოდ დიდი ადამიანები ჰქმნიან, ხოლო დიდი ადამიანობა მხოლოდ დიდმა კეთილშობილებამ შეიძლება შექმნას. ასე, რომ დიად ისტორიას, არა დიდი ფული, არამედ დიდი კეთილშობილება“ – და აქ ჩვენ დავამატებდით, – ღვთაებრივთან ნაზიარები გონიერება ჰქმნის!

დონალდ ტრამპის ინაგურაციის დროს მის მიერ წარმოთქმული იმედის მომცემი სიტყვები: „ ჩვენ არ ვეძებთ იმას, რომ ჩვენი ცხოვრების გზა მოვახვიოთ სხვას, მაგრამ ვეცდებით, რომ ჩვენი ცხოვრების გზა ბრწყინავდეს, როგორც მაგალითი... ჩვენ მზად ვართ კოსმოსის საიდუმლოებანი ამოვიცნოთ, დედამიწა განვკურნოთ სნეულებათაგან...“ – მხოლოდ ლამაზი განწყობილებით შობილი ემოციებია მანამ, სანამ სერიოზულად არ იქნება შესწავლილ-გაანალიზებული, სალი გონებით გააზრებულ-განსჯილი და დადგენილი დედამიწის სნეულებათა გამომწვევი

**ჭეშმარიტი მიზეზები. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მის რეალურ განკურნებაზე ფიქრი, დედამიწის გადარჩენის უეჭველი პერსპექტივის შექმნა. ამისთვის კი აუცილებელია დედამიწელთა მთელი ენერჯის გაერთიანება და არა ვილაციის ხელოვნურად გამოკვეთილ უპირატესობაზე აგებული მასონურ-სიონისტური იდეოლოგია, რაშიც ნერილის ავტორს სრულიად ვეთანხმებით.**

და ბოლოს, კაცობრიობის ყველა ღირსების მითვისებისა და თავისად გასაღების მძარცველურ ფსიქოლოგიასთან წილნაყარი პლანეტარული პატივმოყვარეობა დალუპავს ებრაელობას, თუ მან გაკვეთილად არ მიიღო მისი ორი ათასწლოვანი ტანჯვის მიზეზები და კვლავ გააგრძელა ყველა ღვთაებრივი მადლის მითვისების მცდელობა, ეს უდიდესი მკრეხელობა მოშენათა მოდემისა!...

2019, 23 ნოემბერი, შაბათი, 14 სთ. 19 ნთ. ქ. ბათუმი

ნანილი მეორე

### **ქალბატონ დენიზა სუმბაძის ზოგიერთი ორიგინალური ხედვის ჩვენეული გააზრება**

როდესაც ქალბატონი დენიზა სუმბაძის ნაშრომს „მიდმოგონება ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძეზე, ანუ ეროვნული დიდხასიათობის პიროვნული გამოვლენა“, ვეცნობოდი, პირველ რიგში თვალში მომხვდა საქართველოს უკანასკნელი დედოფლის, მარიამისადმი ავტორის მიერ მოტანილი გაბრიელ ქიქოძის ბიოგრაფის, პლატონ კელენჯერიძისეული შეძახილი, – იმ მარიამისადმი, რომელმაც რუსეთის იმპერატორის მოციქულს, გენერალ ლაზარევს, იმპერატორის ბრძანების გასაცხადებლად უდიერი შეჭრა არ აპატიო საქართველოს დედოფლის პალატებში და ხანჯალი ჩასცა მას: „მეორე ცოლი გიორგი მეცამეტისა, მარიამი..., გენერალ ლაზარევის მკვლეელი“ – ასე იხსენებს ამ გმირ დედოფალს აღნიშნული ბიოგრაფი [კელენჯერიძე, 1913, 33], რაზეც ნაშრომის ავტორი არავითარ კომენტარს არ აკეთებს, რამაც ზოგიერთს შეიძლება აფიქრებინოს, რომ ქალბატონი დენიზაც თანაუგრძნობს ბიოგრაფის ამ შეძახილს და მასაც მარიამ დედოფალი მკვლელად მიაჩნია, რაც მტკნარი სიცრუეა და ამაში დამერწმუნება ყველა, ვისაც ქალბატონ დენიზა სუმბაძესთან უსაუბრია. ან რომელ ქართველ პატრიოტს შეუძლია ამ შემთხვევაში მკვლელობაზე ჩამოაგდოს სიტყვა, როდესაც გათავხედებული რუსი „დერჟი-

მორდები“ გიორგიევსკის ტრაქტატის სრული იგნორირებით ქართლ-კახეთის სამეფოს დაქცევა-განადგურებას, მისი სუვერენული უფლებების ფეხქვეშ გათელვას, ქვეყნის დაპყრობას არ დასჯერდნენ და მათ მიერვე უსუსურქმნილ ქართულ სამეფო პალატებშიც ძალადობით შეჭრა და ყოველგვარი ქართულის თბილისშივე მასხრად აგდება, მათი ყოველდღიური ცხოვრების წესად აქციეს... და მარიამ დედოფლის პალატებში დატრიალებული ტრაგედია იყო ერთადერთი ადექვატური პასუხი ყველანაირად სულში ჩაფურთხებული და შეურაცხყოფილი ქართული სამეფო სახლისა, რომელიც მარიამ დედოფლის ამ თავგანწირულ ქმედებაში გამოიხატა, და რომლის დროსაც გამხეცებული რუსი სატრაპებისაგან სამეფო ოჯახის წევრებმა (უფლისწულები – უ. ო.) და თავად დედოფალმაც არაერთი ჭრილობა მიიღო. ასეთ ვითარებაში კი, როდესაც ქართლ-კახეთის სამეფოს უკანასკნელ დედოფალს საკუთარი ღირსებაც დასაცავი გაუხადეს, პლატონ კელენჯერიძის აღნიშნული შეძახება მკრეხელურია და აღნიშნული პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიაში მდაბალი ინსტიტუტების რეალურ არსებობაზე მიუთითებს. მაგრამ ამავე ნაშრომში მოცემული შეძახებით **„შესდექ, რუსეთის ხელმწიფე!“** – გაბრიელ ეპისკოპოსმა კიდევ ერთხელ ცხადჰყო, რომ საქართველოს ფიზიკური დაპყრობა და მის მბრძანებლად თავის თვითნებური გამოცხადება, სრულებით არ ნიშნავდა მასზე სულიერ აღმატებას, ან მის მონურ მორჩილებას; რომ არსებობს მარადიული ღირებულებები, რომელთა გადალახვაც ქართველ ერთან მიმართებაში ფაქტობრივად შეუძლებელია, – და ამის აღიარება მოუხდა თვით სრულიად რუსეთის იმპერატორსაც [სუმბაძე, 2009, 13].

მეორე ნაშრომში ქ-ნ დენიზა სუმბაძეს მოყავს ემანუილ კანტისეული ერის განმარტება, რომლის მიხედვითაც – **„ერი“ არის ერთობა ისეთი ხალხისა, რომელსაც ერთი გენეტიკური ძირი და ცხოვრების გზის ერთი წესი და რიგი გააჩნია...“** [სუმბაძე, 2005, 5]. იგი იქვე ამბობს, რომ ამ დიდი ფილოსოფოსისეულ „ერის“ განსაზღვრებაში საერთოდ არ ფუნქციონირებს მეოცე საუკუნის აზროვნებისათვის დამკვიდრებული ისეთი აუცილებელი სამართლებრივი ნორმატივი, ისეთი რეალობა და მახასიათებელი „ხალხის“ „ერად“ ყოფნისა, როგორც არის „სახელმწიფოებრიობა“: **„გაქვს სახელმწიფო, ხარ ერი, არ გაქვს სახელმწიფო, არა ხარ ერი“** [სუმბაძე, 2005, 5].

ყოფილი სსრ კავშირისა და დღევანდელი ამერიკის შეერთებული შტატების პირობებში „სახელმწიფოებრიობამ ყველა სხვა

ძირითადი მახასიათებელი შთანთქა და პირველ აუცილებელ ნიშნად იქცა“.

„ამერიკელი ხალხის ეროვნული განსაზღვრულობა, მისი ერთად ყოფნა, მის სახელმწიფოებრიობაში, უფრო მეტი: მის ზესახელმწიფოებრიობაშია ჩადებული“ [სუმბაძე, 2005, 6] – ამბობს ავტორი და შემდეგ იქვე განაგრძობს: „ასე მივიღეთ გენეტიკური ერთობის მქონე ერებისაგან განსხვავებული, სრულიად ახალი ხალხი და ახალი კატეგორია ერისა (?! – უ. ო.), რომელსაც, შესაძლოა, ტრადიციული ნორმებით არც გააჩნია ერის შინაარსი, და არც არის ერი, მაგრამ აქვს ტრადიციული შინაგანი მოთხოვნილება და იმპულსი ერად ყოფნისა და ერთიანი ღირსების გრძნობის, რაც მას ახალი ტიპის ერად წარმოგვიდგენს...“

აქ ქალბატონი დენიზა თუმცა საკმაოდ სვამს მართებულ აქცენტებს, მაგრამ ბოლოს, როდესაც ლაპარაკობს აშშ-ში ჩამოყალიბებული საზოგადოების „ახალი ტიპის ერად წარმოდგენაზე“, ჩვენს აზრით, ეს არის კრიტიკულად განსახილველი მოსაზრება, – რადგან ამ საზოგადოებრივ ერთობას მის მიერვე საკუთარი პრაგმატული მიზნების განსახორციელებლად შექმნილი კონსტიტუციისა და კანონების მეტი, არავითარი ერთიანი ზნეობრივ-ეთიკური საყრდენი არ გააჩნია. ამასთან, მას არასდროს არ ჰქონია არც ერთიანი გენეტიკური ძირი (თუ ყველა ადამიანის ერთი წყვილის, ბიბლიური ადამისა და ევასგან წარმოშობას არ ვიგულისხმებთ) და მითუმეტეს, ცხოვრების ერთი წესი და რიგი, და უახლესი ისტორიის სუპერ თანამედროვე პერიოდამდე, ამ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი მის მეორე, ასევე მნიშვნელოვან ნაწილს, რასობრივ ნიადაგზე საზოგადოებრივ „მაკულატურად“ აღიქვამდა. ამიტომაც, შორეული მომავლისათვის შეიძლება ამ ერთობის ერად ჩამოყალიბების რაღაც პერსპექტივა არსებობდეს, მაგრამ დღეისათვის მისი ახალი ტიპის ერად წარმოჩენის არავითარი შანსი არ არის, თუნდაც ერის განსაზღვრების ისეთი უძირითადესი მაჩვენებლის არ არსებობის გამო, როგორც ერთიანი გენეტიკური ძირია. თუმცა დღეს ამ საზოგადოებაში არსებული სოციალური პრობლემების შედარებით სამართლიანი გადაწყვეტისაკენ მიდრეკილებამ, მას უფრო მეტი შანსი მისცა ჩამოყალიბებულიყო როგორც ერთიანი ამერიკელი ხალხი და ამიტომაც, მას სამომავლოდაც აქვს საშუალება, თავიდან აიცილოს ის კატაკლიზმები, რაც ყოფილ სსრ კავშირში „ერთიანი საბჭოთა ხალხის“ ჩამოყალიბების ძალადობრივ, ხელოვნურ მცდელობას მოჰყვა.

ქალბატონი დენიზა იქვე ამბობს, რომ „ამერიკელ ხალხს და ამერიკის სახელმწიფოს ზოგჯერ ჩვენ აღვიქვამთ, როგორც ახალ

კაცობრიობას, რომელმაც შეძლო თავისი ძველი სამყოფლის დათმობა და ახალი დედამიწის აღმოჩენა, ახალი ღირებულებების შესაქმნელად, ცხოვრების ახალი გზის დასაწყებად, ერთიანად მთელი კაცობრიობისათვის...“ [სუმბაძე, 2005, 8], – შემდეგ კი იქვე მრავალმნიშვნელოვნად შენიშნავს, – „...ამერიკა, ეს არის კაცობრიობა, რომელიც გაექცა თავის თავს, გაექცა იმ სულიერ და რელიგიურ ბორკილებს, იმ დოგმატურ გზებს ცხოვრებისას, რომლითაც გაუსაძლისი გახდა ყოფიერება (ცხოვრება უწერია – უ. ო.), გაექცა, ოკეანეები გადალახა და ახალი ნავსაყუდელი იპოვა. ამერიკის აღმოჩენა, ეს არ იყო მხოლოდ გეოგრაფიული აღმოჩენა, ან მატერიალური ინტერესების ახალი ასპარეზის ძიება: თავისი მისტიური შინაარსით იგი სრულიად ახალი მისიის დაბადებისა და კაცობრიული მეობის პოვნის მატარებელი უნდა ყოფილიყო... ამ ახალმა კაცობრიობამ, ნიშნად თავისი ახალი ვინაობისა, თავისი ახალი ქვეყნის მისადგომთან, ოკეანის ნაპირზევე აღმართა ახალი კერპი – ამსახველი თავისი ახალი ვინაობისა. ჩვენ თანამედროვეობის ენაზე ამ კერპს „თავისუფლებს“ ქანდაკება ჰქვია“ [სუმბაძე, 2005, 9], – აღნიშნულია ნაშრომში და აქ შეიძლება ავტორს სრულიად დავეთანხმოთ. მაგრამ მას კარგად ესმის ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგის ფრიდრიხ ფონ ჰეიკისაც, რომელიც ამბობს: „როდესაც ამერიკულ დემოკრატიას, როგორც თავისუფლების იდეალურ ფორმას, ამერიკული გაგებით, თავს ვახვევთ ახალფენადგმულ დამოუკიდებელ ხალხებს, ამით ჩვენ ფესვებშივე ვუწმობთ მათ საკუთარი თვითმყოფადი განვითარების შესაძლებლობას“ [სუმბაძე, 2005, 10]. და სწორედ, აქედან უკვე კარგად ჩანს, რომ ძველ ბაბილონურ ცნობიერებაზე გამოქცეული „ახალი კაცობრიობისათვის“ ახალი ბაბილონური ეპოქის დასაწყისი რეალობადაა ქცეული და მას ვერავითარ დადებით ვერ მისცემს 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენათა მიზეზების მხოლოდ საკუთარ თავს მიღმა ძიება, რადგანაც ისინი სწორედ მისი ძალისხმევით დამკვიდრებულ ახალ მსოფლიო წესრიგსა და მისგან გამომდინარე საკაცობრიო უსამართლობაშია განფენილი; ხოლო ნიუ-იორკში „ტყუებებს“ დაცემა „ახალი ბაბილონის“ თანამდევი გლობალისტური მსოფლ-მხედველობის დაცემის დასაწყისია მხოლოდ, რითაც დაინგრა „...მსოფლიო ინტეგრაციის ამერიკული სურვილიც“ [სუმბაძე, 2005, 11] – სამართლიანად შენიშნავს ავტორი.

რაც შეეხება სამუელ ჰანტიგტონის წიგნის, „ცივილიზაცი-ათა შეჯახება“, წინასიტყვაობის ავტორის მოსაზრებას, რომ „ამერიკელებმა ასწავლეს მსოფლიოს : 1) თავისუფლება აზრის,

2) თავისუფლება პრესის და 3) თანასწორობა დედაკაცისა და მამაკაცისა“ [სუმბაძე, 2005, 13] – ეს არის ქართული სინამდვილის არ ცოდნა და აქედან გამომდინარე, ქართველებისათვის მეტად ვულგარული აზრის შემცველი რეალობა მას შემდეგ მაინც, რაც შეიქმნა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რომელსაც ვერავინ დასწამებს ვერც თავისუფალი აზრის სიმწიერეს და ვერც „დედაკაცისა და მამაკაცის თანასწორობის“ იდეალისადმი უპატივცემულობას, რაც ავტორს იქვე აქვს მინიშნებული. მაგრამ იქვე რატომღაც მაინც ამბობს, რომ „ამერიკული დემოკრატია და მასზე დამყარებული ცივილიზაცია, რომელიც მსოფლიოს, უწინარეს ყოვლისა, დედაკაცისა და მამაკაცის თანასწორობას უკანონებს...“ [სუმბაძე, 2005, 14] და ა. შ. და ა. შ. ჩვენ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამის მსოფლიოსთვის დაკანონება, ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო, ქართული გარემოსთვის მე-12 საუკუნეში უკვე შემდგარი ფაქტია, ხოლო მამალმერთული ე. წ. ცივილიზაცია, ჩვენი აზრით, ქრისტეს მოვლინების შემდეგ იქცა „მამა-ზე-ცი-ერისა“ და „მამა-ზე-ცი-ურის“ ერთობად, რომელსაც ქრისტეს ბუნებამ ჩაუყარა საძირკველი.

აქვე ნაშრომში ნათქვამია, რომ მეორე ღვთაებრივი ცნება „ამერიკის სულიერ მრწამსში: ეს „ვაჭრობაა“. „თავისუფლება“ და „ვაჭრობა“. აი, ის ორი ძირითადი მცნება ამერიკული რელიგიური სულისა...“ [სუმბაძე, 2005, 16]. ავტორი იქვე კითხულობს: „ხომ არ მოხდა „თავისუფლებისა“ და „ვაჭრობის“ თანაბარი გაკერპებით ამერიკული მისიის გაორება? ამერიკული ერის, როგორც ახალი რჩეული ერისა და ძველი, ბიბლიური რჩეული ერის მისიათა გაერთიანება? ხომ არ მოვიდა ამერიკული მისია ახალი კაცობრიობისა წინააღმდეგობაში საკუთარ თავთან? და ჩნდება უფრო სახიფათო კითხვა: ხომ არ გადასძალა ამ გაორებაში ვაჭრობის მსოფლიო გაკერპებამ თავისუფლების გაკერპებას?! [სუმბაძე, 2005, 17].

ჩვენ აქ პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ – დიახ, გადასძალა! და, ჩვენი აზრით, სწორედ ტყუპების დაცემამ დაასამარა ხელოვნური „ახალი ისტორიული ერთობის“ ამერიკელი ერის შექმნის იდეა, – სსრ კავშირიც ხომ იმავე იდეის განსახორციელებლად იღწვოდა. II სექტემბერი კი პასუხი იყო ამ პლანეტარულ მკრეხელობაზე. ისიც ცნობილია, რომ იესო ქრისტემ ტაძრიდან, უპირველეს ყოვლისა, ვაჭრები გამოყარა. ამიტომაც, „თავისუფლებისა“ და „ვაჭრობის“ ცნებათა შეთავსების ცდა, მითუმეტეს ღვთაებრივ რეგისტრში, ყოვლად წარმოუდგენელია და უდიდეს ცოდვას წარმოადგენს. ჩვენ ვფიქრობთ, სწორედ ამ შეუთავსებელთა



## შეთავსების მკრეხელური ცდისთვის დაისაჯა II სექტემბერს ამერიკის შეერთებული შტატებიც.

ფოტოგრაფის პერსონალურ გამოფენაზე გამოტანილ მის საავტორო სურათში გამონახული თავისუფლების ასეთი უკიდურესად ვულგარული გაგება და მასზე ამერიკული საზოგადოების რეაქცია მიუთითებს თუ სადამდე დაკნინდა მორალურ-ზნეობრივი საყრდენები აშშ-ში, რაც სულიერი დახეიბებისაკენ მიმავალი საშიში გზაა, საიდანაც მარადიულ მონობამდე თითქმის ალარაფერი დარჩენილი.

აღნიშნული ნაშრომის ბოლოს ქ-ნი დინება სუმბაძე აკეთებს დასკვნას: „იმისათვის, რომ ამერიკელმა ერმა სწორად შეიმეცნოს თავისი მისია მსოფლიო ქომაგისა, ჩვენ უნდა უსათუოდ ხელახლა გადავიზოროთ მსოფლიო სამართლიანობის საფუძვლები.“

ამერიკული მისია ახალი კაცობრიობისა ამ ახალი სამართლიანობის შუქზე უნდა დაგვიბრუნდეს.

II სექტემბრის ტრაგედიის შემდეგ... ჩემთვის ისტორია განვა ბაბილონის გოდოლის დაცემასა და ნიუ-იორკის ცათამბჯენის დაცემას შორის.

ისევე, როგორც მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობამ, ამერიკელმა ერმაც (?! – უ. ო.) სწორედ უნდა შეიმეცნოს მიზეზი II სექტემბრის ტრაგედიისა. ეს შემეცნება ამერიკის საკაცობრიო მისიის სწორად წარმართვისთვის არის აუცილებელი.

ჩვენი აზრით, ამერიკულმა ცნობიერებამ უნდა შესძლოს ჩაღრმავება ბაბილონის დაცემის ბიბლიური მისტიერიის საიდუმლოებაში...“ ([სუმბაძე, 2005, 19] – სწორედაც!

ამ მისტიერიის არსის გაუთვითცნობიერებლად აშშ-ს ნამდვილად გაუჭირდება იმ მისიის აღსრულება, რომელსაც მას ქ-ნი დენიზა სუმბაძე და მსოფლიოს ახალი აზროვნების სხვა მომხრეები აკისრებენ. მაგრამ აქვე უნდა დავსვათ ერთი, მოაზროვნე მსოფლიოსათვის მეტად ლეგიტიმური კითხვაც: **ხომ არ ვთხოვთ ამერიკულ საზოგადოებას იმაზე მეტს, რისი ზიდვაც მას რეალურად შეუძლია? ან კიდევ, ამ მისიაში ის მართო არ შეიძლება დარჩეს და ასეთ შემთხვევაში, როგორ უნდა „დაბანდდეს“ ამ საქმეში მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი სულიერი ცენტრების შესაძლებლობანი?**

თავის მორიგ ნაშრომში „დედა-უფლისათვის“ [სუმბაძე, 1997] ქ-ნი დენიზა სუმბაძე წერს: „...ქართული აღორძინების ხანის პოეტებისა და მემატიაანების აღმაფრენამ სწორედ გელათი დასახა „სხუად ათინად“ და „სხუად იერუსალიმად“... ეს გელათს მიმზერილი აღზევება ქართული ეროვნული სულისა პლატონის

ათინად და ქრისტეს იერუსალიმად გელათის ყოფნისა იმით დამთავრდა, რომ ქართველებმა საკუთარი მესიანისტური იდეაც შექმნეს, საკუთარი მეფე თამარი, ქართული ეკლესიისაგან ნეტარად შერაცხული, მესიად დასახეს და თაყვანისცემის ულოგიკო ლოგიკით სახობტო ტიტულიც წარმოსახეს მისი: ნმიდა სამების მეოთხე წევრობისა. ფილოსოფოსი გელათის აკადემიისა კი, იოანე პეტრინი, თანამემამულეებმა, როგორც ჩანს, საკმაოდ დევნეს და სინანულით და ტკივილით ათქმევინეს: თანსიყვარული რომ მქონოდა თანამემამულეთა, ენაიმცა ენისადა გამენწყო და ხედვამცა ფილოსოფოსთა განცდისაი მეარისტოტელურა“... შეიძლება ვთქვათ, რომ გელათის ათენურ-იერუსალიმური მისია იმით დამთავრდა, რომ ქართველებმა ჯვარს აცვეს თავისი ფილოსოფოსი და გააღმერთეს თავის პატრონად დასახული მეფე (პირველი შეცოდება – უ. ო.) – ამბობს ავტორი და იქვე განაგრძობს, – ლოგიკა „...ნმიდა სამების თამარისეული მეოთხე წევრობისა თავისებური გამობატულება იყო არა მარტო ქართული პოეტური სულის აღმაფრენისა, არამედ ქართული რელიგიური ტემპერამენტისაც, რომელიც ღვთისმშობლის წილხვდომილებით იყო შთაგონებული: თამარის სახეში ქართველებმა როგორღაც ღვთისმშობელი აამაღლეს სამების წევრად“ (მეორე შეცოდება – უ. ო.).

მაგრამ მიუხედავად ქ-ნ დენიზას ასეთი თავგანწირული მცდელობისა, ამაღლებულისათვის დამახასიათებელ ტონალობაში წარმოგვიდგინოს აღნიშნული სინამდვილე, ჩვენი აზრით, აქ საქმე გვაქვს ქართული ხასიათისათვის ნიშანდობლივ არც თუ სახარბიელო და, როგორც ჩანს, საუკუნეთა სავალზე გამოტარებულ არაჯანსაღ ტენდენციასთან, – ჯვარს აცვან ქვეყნის სვე-ბედზე მოფიქრალი, პროგრესულად მოაზროვნე და თავგანწირული მამულიშვილები, მათ საპირისპიროდ კი აამაღლონ და გააღმერთონ ყოველდღიური ცხოვრებისაგან შემთხვევით, დროებით აღზევებული, გონებრივად თუ სულიერად გადაგვარებული არამზადა, მაგრამ თავის პატრონად დასახული „მეფე“, რომელსაც ნამდვილ მეფურ კურთხევასა და ღვთაებრივ მადლთან არავითარი კავშირი არა აქვს. საქართველოში ამ დროისაგან დროებით აღზევებულ ვიგინდარებს, დღესაც თავზე გადაასვამენ, ადარებენ, მართლაც-და სამშობლოს შეწირულ, ღვანღმოსილ პიროვნებებს და არც თუ ისე იშვიათად, მისი კარიერის დასასრულამდე, მონური მორჩილებით ემსახურებიან, ოღონდაც კი მისგან რაიმე სარგებელს გამოელოდნენ. თამარის შემთხვევაში კი მისდამი ასეთი დამოკიდებულება სრულიად ბუნებრივად გამოიყურება,

რადგან საქართველოს ამ ერთ-ერთ უდიდეს გვირგვინოსანს მოსდგამდა, ბაგრატიონთან სახელოვანი სამეფო გვარის შვილობასთან ერთად, მისი დიადი საქმენი. თანაც დავით აღმაშენებლის შემდგომ ხანაში ყველანაირი თვალსაზრისით აღზევებული საქართველო, როგორ იტყვიან – „თავის კანში ველარ ეტეოდა“ და ამ მდგომარეობის გამოსახატავად, ქართველები რომ არაფერს იმშურებდნენ, აქედანაც კარგად ჩანს.

ამავე ნაშრომში ავტორი საკმაოდ ბევრს საუბრობს ღმერთის ორმაგ ბუნებაზე და ბოლოს ამბობს: „ბერძნული ტექსტი გვიჩვენებს, რომ ღმერთი მამრობითი არსებაა“ [სუმბაძე, 1997, 14]. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ღმერთს არ შეიძლება სქესი გააჩნდეს, რასაც მისი ყოვლის მომცველობა და უსაზღვროება განსაზღვრავს. რაც შეეხება დედანს; დედანი შეიძლება განიმარტოს, როგორც დედა არსთა სანყისისა და ჩვენი აზრით იგი ორივე, მდებარეული და მამრული, მახასიათებლის შემცველია, მაგრამ ეს იმდენად ორგანულად არის მასში შერწყმული, რომ მათი ცალ-ცალკე აღქმა შეუძლებელია და ეს ასეც უნდა იყოს, – ამას ნიშნავს ღვთიური ერთობა, განუყოფლობა. სწორედ ქართულ ენაში არ გააჩნია არსებით სახელს სქესი (მაგალითად, როგორც, ვთქვათ, ეს გერმანულ ენაშია – დერ, დიე, დას) და ამიტომაც იგი ყველაზე მეტად შეესაბამება ღმერთის ბუნებას... ჩვენ ვფიქრობთ, რომ არც ფსიქოლოგიური და არც ფილოსოფიური ტერმინი რეალობას ვერ ასახავს და დღეს რეალობა გამოხატულია მხოლოდ ქართული ენის ღვთაებრივ ბუნებაში, როგორც უსქესო ენაში. ქართული ენის ამ ღვთაებრივ მისიასა და ბუნებრიობაზე გვესაუბრება იოანე ზოსიმე გზავნილში „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“.

ქ-ნ დენიზა სუმბაძის ამავე ნაშრომში ნათქვამია, რომ „ადამიანის აზროვნებას, რაოდენ მისტიკურსა და მეტაფიზიკურსაც არ უნდა ეხებოდეს იგი, ყოველთვის ადევს თავისი ამქვეყნიური ბეჭედი. მაგრამ თუ ეს ბეჭედი იქცევა დოგმად, იგი სახიფათო ხდება თვითონ ადამიანის მაღალი ევოლუციური ბუნებისათვის, მისი ჰარმონიული ყოფნისათვის; ამიტომ ითქვა ბრძენთა მიერ, რომ არ არსებობს დოგმა, რომელსაც უფლება ჰქონდეს წინ აღუდგეს ჭეშმარიტებას“ აქედან გამომდინარე კი: „არ არსებობს რელიგია, რომელიც ჭეშმარიტებაზე მაღლა იდგეს“ [სუმბაძე, 1997, 16]. სწორედაც! – ვამბობთ ჩვენც.

ავტორის მიხედვით „მარადიული სიყვარული ორფეოსისა და ევრიდიკასი ბიბლიური ადამისა და ევასთვის უცხოა. აქ უკვე გამქრალია ის სიყვარული, რომელიც ჭეშმარიტი მყოფობის

ტოლი და იგივეობრივია, და რომელზეც ერთმა დიდმა ფილოსოფოსმა თქვა: „სიყვარული არის ის, რაც არსებობაა, და არსებობა არის ის, რაც სიყვარულია“ და სხვა... მაგრამ ეს განმარტებანი ამ მარადიული, უკვდავების ღირსი ცნებისა, ჩვენი აზრით, ადამიანურ ენაზე მაინც ბუნდოვნად არის გამოთქმული და ადამის მოდგმა უფრო ზუსტსა და მასთან უფრო ახლოს მისულ, გასაგებ განმარტებას იმსახურებს. ვცადოთ სიტყვის ფორმაში მივალწიოთ მის სრულყოფილ გამოხატულებას, ნამდვილ, ყველასათვის გასაგებ ბუნებრივ სამოსელში ავსახოთ იგი: **სიყვარული არის ღვთაებრივთან ნაზიარები ის მარადიულისაკენ სწრაფვა, რომელიც სამოთხესაც უდრტვინველად დაგათმობინებს. სწორედ ეს იყო ადამისა და ევას მისტერია, როდესაც მათ მარადიული სიყვარულით გასენილებმა, მარადიულ ნეტარებას, გაუსაძლისი ტკივილი ამჯობინეს... სიყვარული უდიდეს სატკივართან წილნაყარი ნეტარებაა. აქედან მომდინარეობს ადამიანთა მოდგმის უდიდესი მოაზროვნე ნაწილისათვის საკუთარი სამშობლოსადმი უსაზღვრო ნოსტალგია. იგი ხომ ჩვენი ბუნებისა და ღვთაებრივი არსის საშოა, მშობელია. ჩვენი აზრით, აქედანვე მომდინარეობს დედობის ზეციური ბუნება, ანუ ზეციური მადლი...**

$$13+1+4+12+10=40$$

ჰ ო ბ - ზ Ⴀ =+ (ლი - სულიერი სავანე)

$$40+1+4-30+10=45-40$$

Ⴀ Ⴀ -+ (ნათელი ცნობიერების სულიერი სავანე)

და მართლაც, „სამყაროს იდუმალი კანონებით, შესაძლოა, შემთხვევითი არც იყოს, რომ ეს გასაღები ჩნდება ღვთისმშობლის წილხვდომილ ქვეყანაში“ [სუმბაძე, 1997, 18]. ჩვენც ამით დავასრულოთ... ჯერ-ჯერობით.

6 აგვისტო, 2020, უჩა ოქროპირიძე

### გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

- დენიზა სუმბაძე, ღია წერილი მის აღმატებულებას, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს, ბატონ დონალდ ტრამპს, გამომც. „უნივერსალი“, თბილისი, 2018
- პლატონ კელენჯერიძე, გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა, ქუთაისი, 1913
- დენიზა სუმბაძე, მიდმოგონება ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძეზე, ანუ ეროვნული დიდხასიათობის პიროვნული გამოვლენა, ივ. ჯავახიშვილის თსუ-ს არეოპაგიტული სამეცნიერო ცენტრი, თბილისი, 2009
- დენიზა სუმბაძე, ამერიკელი ერის ფენომენი, თსუ, თბილისი, 2005
- დენიზა სუმბაძე, დედა-უფლისათვის, ანუ გელათის აკადემია და ბერძნული ფილოსოფიის დასასრული, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ, არეოპაგიტული პრობლემების სამეცნიერო ცენტრი, თსუ-ს გამომცემლობა, 1997